საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.org.ge

№ 203

22/05/2023

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა და შესაბამისი პროცედურების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის და 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აპრილის №155 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 24 მარტის №2 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:
ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტის სერვისების განვითარებისა და მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს უფროსი - **იოსებ ჯინჯოლავა;**
ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის სერვისების განვითარებისა და მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - **ნინო ცუხიშვილი.**

2. დაევალოს საქპატენტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო მონაცემების დაუყოვნებლივ, ხოლო საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში - არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მიწოდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ისთვის.

3. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ისთვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდების ვადები და მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები დანართი №1-ის შესაბამისად.

4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ისთვის მიწოდებული საჯარო ინფორმაციის (მათ შორის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის) სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი სტრუქტურული ერთეული.

5. ვებგვერდზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე თარგმნის უზრუნველყოფა დაევალოს საქპატენტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს.

6. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:
ა) „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №357 ბრძანება;
ბ) „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2021 წლის 16 აპრილის №105 ბრძანება.

7. დაევალოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დადგენილი წესით გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

№ 90

04/05/2026

ბრძანება

„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა და შესაბამისი პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2023 წლის 22 მაისის №203 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის პირველი ნაწილის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა და შესაბამისი პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2023 წლის 22 მაისის №203 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი - **ნანა პაპავა.**“.

2. დაევალოს საქპატენტის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ბრძანების დადგენილი წესით გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ.მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“
თავმჯდომარე

გიორგაძე სოსო

დანართი №1

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდების ვადები და მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები

№	ინფორმაციის დასახელება	გამოქვეყნებისათვის დადგენილი ვადები	გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდების ვადები	ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
1	2	3	4	5
1.	**ზოგადი ინფორმაცია საქპატენტის შესახებ**			
1.1	საქპატენტის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო
1.2	საქპატენტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (საქპატენტის დებულება, სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები, შრომის შინაგანაწესი)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	იურიდიული დეპარტამენტი
1.3	საქპატენტის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში, მომზადებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველო
1.4	საქპატენტის მიერ შემუშავებული სტრატეგიები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველო
1.5	საქპატენტის თავმჯდომარის და მისი მოადგილეების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო
1.6	საქპატენტის და მისი სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფო-ნის ნომერი,	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი			
2.	**საჯარო ინფორმაციის გვერდი**			
2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	იურიდიული დეპარტამენტი
2.3	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	იურიდიული დეპარტამენტი
2.4	საქპატენტის მიერ საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი
2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი

3.	**ინფორმაცია საქპატენტის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ**			
3.1	საქპატენტში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საქპატენტში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო
3.3	საქპატენტში დასაქმებულ პირთა ოდენობა (კატეგორიების მითითებით) და გენდერული შემადგენლობა	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო
4.	**ინფორმაცია საქპატენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ**			
4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
4.2	საქპატენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი

4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.	**ინფორმაცია საქპატენტის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ**			
5.1	საქპატენტის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.2	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში; ყოველწლიური მონაცემი წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.3	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ (ჯამურად)	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.4	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.5	საქპატენტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ (ჯამურად)	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.7	ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ჯამურად)	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.8	საქპატენტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი

5.9	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ (ჯამურად)	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.10	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშო რისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქპატენტისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.11	ინფორმაცია საქპატენტის მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	ქვეყნდება ყოველწლიურად	წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.12	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან საქპატენტისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად	კვარტალის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
5.13	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან საქპატენტისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვ-ლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში	აქტის მიმღები ორგანოს მიერ გამოქვეყნებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში	ეკონომიკური დეპარტამენტი
6.	**სამართლებრივი აქტები**			
6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქპატენტის საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში	ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში	იურიდიული დეპარტამენტი
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, საქპატენტის შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში	ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში	იურიდიული დეპარტამენტი

7.	**სხვა საჯარო ინფორმაცია**			
7.1	საქპატენტის სერვისების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	ადმინისტრაციული დეპარტამენტის სერვისების განვითარებისა და მოქალაქეთა მომსახურების სამმართველო
7.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება საქპატენტის მიერ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ცვლილებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში	იურიდიული დეპარტამენტი
7.3	სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები; მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენები; სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენების სპეციალური გამოშვებები	სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები ქვეყნდება თვეში 2-ჯერ, მომზადებისთანავე; მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენებისა და სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენების სპეციალური გამოშვებები –გამოსვლის დღეს	გამოსვლის დღეს	ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი